3376-02-2-201708251339

N 02/3376
25/08/2017

საინფორმაციო სააგენტოს ,,პირველი"

თქვენი, მიმდინარე წლის 14 აგვისტოს განცხადების პასუხად გიგზავნით პასუხებს თქვენს შეკითხვებზე.

1. დღეის მდგომარეობით საქართველოს ტერიტორიაზე ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოების კონტრაქტი ან ლიცენზია გააჩნია შემდეგ ინვესტორებს და მათ საოპერაციო კომპანიებს:

| ინვესტორი კომპანია/საოპერაციო კომპანია | პწგხ-ს თარიღი | სალიცენზიო ფართობი |
|---|---|---|
| Ninotsminda Oil Company Limited "/„ქურა ბეისინ ოფერეითინგ ქომფანი“ | 1996 | XI$^{E}$ |
| "Frontera Resources Georgia Corporation"/„ფრონტერა ისტერნ ჯორჯია“ | 1997 | XII |
| "Nazvrevi Oil Company Limited/„კანარგო ჯორჯია“ | 1998 | XI$^{D}$; XIII |
| "Martkopi Oil Company Limited /„ქურა ბეისინ ოფერეითინგ ქომფანი“ | 2000 | XI$^{C}$ ჩრდ.კუმისი· |
| Georgia Oil & Gas Limited "და GOG Noriosxhevi /„ნორიოს საოპერაციო კომპანია“ | 2008 | XI$^{C}$ ნორიო |
| Georgia Oil & Gas Limited/„ნორიოს საოპერაციო კომპანია“ | 2008 | XI$^{C}$ მარტყოფი; XI$^{C}$ ჩრდ. საცხენისი |
| Georgia Oil & Gas Limited და " Satskhenisi LTD "/2017 წლის 14 ივლისიდან /„ნორიოს საოპერაციო კომპანია“ | 2013 | XI$^{C}$ საცხენისი |
| Schlumberger Rustaveli Company Limited | 2009 | IX; X; XI$^{B}$ |
| Marine Resources Exploration International B.V. | 2010 | H |
| Georgia Oil & Gas Limited "/„ნორიოს საოპერაციო კომპანია“ | 2011 | VIII |
| Georgia Oil & Gas Limited და Tbilisi Petroleum Limited "/„ნორიოს საოპერაციო კომპანია“ | 2011 | XI$^{G}$ |
| შეწყვეტილია 2017 წლის 1 ივნისიდან | 2011 | XI$^{A}$ |
| Vectra Petroleum LTD და " Nautic AWT Energy PTE LTD/„ვი პი ჯორჯია“ | 2011 | VII$^{B}$ |
| Elenilto Georgia | 2013 | XI$^{H}$ |
| Georgia Oil & Gas Limited " და Saguramo Petroleum Limited / „ნორიოს საოპერაციო კომპანია“ | 2013 | XI$^{N}$ |
| Georgia Oil & Gas Limited და Lisi Petrolium limited/„ნორიოს საოპერაციო კომპანია“ | 2013 | XI$^{M}$ |
| სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ | 2017 | „სამგორის |

სამხრეთ თაღი“




2. 1997 წელს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ ინვესტორ კომპანია „ფრონტერა რისორსიზ ჯორჯია კორპორეიშენს“ მიანიჭა სარგებლობის ლიცენზია XII სალიცენზიო ბლოკზე.
3. 1997 წელს „ფრონტერა რისორსიზ ჯორჯია კორპორეიშენმა“ გააფორმა პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულება (პწგხ) ნავთობის ეროვნულ კომპანიასთან. აღნიშნული დოკუმენტი კონფიდენციალურია. ასევე, კონფიდენციალურია პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულების მუხლებიც.
4. 1997 წლის 8 ივლისს, იმ პერიოდში მოქმედი წესის შესაბამისად, გამოიცა საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება N266 „ნავთობის ინდუსტრიაში და ნავთობგადამამუშავებელ წარმოებაში ინვესტირების ხელშეწყობის ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“, რომლის საფუძველზეც სახელმწიფო კომპანია „საქნავთობმა“ (ყოფილი „ნავთობის ეროვნული კომპანია“) ხელი მოაწერა „პწგხ“-ს „ფრონტერა რისორსიზ ჯორჯია კორპორეიშენთან“. „პწგხ“-ის გაფორმების შემდგომ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ („ნავთობისა და გაზის შესახებ“

საქართველოს კანონის მიღებამდე „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონით უფლებამოსილი ორგანო) გაიცა შესაბამისი წიაღით სარგებლობის ლიცენზია.

5. XII ბლოკი მოიცავს დედოფლისწყაროს, სიღნაღის, გურჯაანის, საგარეჯოს, გარდაბნისა და მარნეულის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებს. ფართობი მოიცავს 5060 კვ.კმ. ამჟამად პროექტის მე-20 მიმდინარე წელია პწგხ-ით გათვალისწინებული 25 წლიანი პერიოდიდან.
6. ინვესტორს გადაეცა სალიცენზიო ფართობზე, უფრო ზუსტად მის წიაღში, არსებული რესურსების ძებნა-ძიებისა და მოპოვების უფლება, რაც თავის მხრივ, მიწის ზედაპირთან მიმართებაში საჭიროებს კონკრეტული ობიექტების (ჭაბურღილი, შემკრები სარეზერვუარო პარკი, საოფისე და სათაო ნაგებობები და სხვ.) განსათავსებელ ე.წ. „მიწის მინაკუთვნებს“. დღეისათვის ინვესტორსა და მის საოპერაციო კომპანიას „პწგხ“-ს პირობებიდან გამომდინარე სარგებლობაში გადაცემული აქვს მოქმედი ჭაბურღილები (თითოეულის ოპერირებისათვის საჭირო მიწის ნაკვეთი დაახლ 60/60 მ.) და სხვა უძრავი თუ მოძრავი ქონება (შემკრები, ამზომი და მოსამზადებელი ნაგებობები, შიდა-შემგროვებელი მილგაყვანილობა, სარეზერვუარო პარკი და სხვ.), რომელიც შექმნილი იყო და არსებობდა სალიცენზიო ფართობზე ნავთობისა და გაზის ოპერაციების საწარმოებლად ლიცენზიის გაცემამდე.

რაც შეეხება მე-7,8,9 პუნქტში დასმულ კითხვებს გაცნობებთ, რომ აღნიშნული ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ინვესტორი კომპანიის ყოველწლიურ ანგარიშებში, რომლებიც საჯაროდ ხელმისაწვდომია.

პატივისცემით,
მარიამ ვალიშვილი

მინისტრის მოადგილე

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო